ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 15 09 2020 წ.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 13

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მაგისტრატურის საგანმანათლებლო და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები გამოცდების დისტანციურად ადმინისტრირების შესახებ

„2020-2021 სასწავლო წელს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 04 სექტემბრის N778305 ბრძანების 1[1] პუნქტის და ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მოქმედი წესდების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში, 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, წინამდებარე ბრძანების გამოცემიდან მაგისტრატურის საგანმანათლებლო და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები გამოცდები/გასაუბრებები ჩატარდეს დისტანციურად.
2. გამოცდა/გამოცდის ზეპირი კომპონენტი/გასაუბრება ჩატარდეს ონლაინ პლატფორმა Google meet-ის მეშვეობით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მიზეზით ვერ ხერხდება აღნიშნული ონლაინ პლატფორმით სარგებლობა, გამოცდა/გასაუბრება შეიძლება ჩატარდეს ალტერნატიული პლატფორმის გამოყენებით.
3. წერითი გამოცდა/გამოცდის წერითი კომპონენტი ჩატარდეს www.moodle.sangu.edu.ge პლატფორმის გამოყენებით.
4. განხორციელდეს ზეპირი გამოცდის/გამოცდის ზეპირი კომპონენტის/გასაუბრების ჩაწერა და შენახვა შეფასების შედეგების აპელაციის ვადით, რის შემდეგაც ჩანაწერები ექვემდებარება დაუყოვნებლივ განადგურებას.

5. დაევალოთ უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლას, ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლას, საგამოცდო ცენტრს და უცხო ენების ცენტრს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყონ საგამოცდო პროცესების კოორდინაცია.

6. დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს:

ა) უზრუნველყოს ბრძანების მე-5 პუნქტით განსაზღვრული ჩანაწერების დაცულობა და კონფიდენციალობა და ხელმისაწვდომი გახადოს თითოეული მათგანი მხოლოდ მიზნობრივი გამოყენებისათვის, შესაბამის ვიწრო პირთა წრისათვის, ამასთან, განახორციელოს მათი ნახვის ყველა შემთხვევის აღრიცხვა, აპელაციის ვადის ამოწურვის შემდეგ კი დაუყოვნებლივ უზრუნველყოს მათი განადგურება.

ბ) უზრუნველყოს საგამოცდო პროცესში ჩართული პირები საჭირო კონსულტირებით.

7. ბრძანება გასაცნობად და მათთვის განკუთვნილი ამოცანების შესასრულებლად დაეგზავნოთ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და თანამდებობის პირებს.

8. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე ბრძანების განთავსება.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N6).

რექტორი,
პროფესორი სერგო ვარდოსანიძე